ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9
2020 წლის 4 მაისი

ქ. ბაღდათი

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2020 წლის პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2020 წლის პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №25 დადგენილებაში (საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი www.matsne.gov.ge, 30.12.2019წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.124.016381) და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. მე-17 მუხლის (მედიკამენტების დაფინანსება) 17.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„17.2. ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაავადების მქონე პაციენტებისთვის დახმარება განისაზღვრება წელიწადში ერთჯერადად, ხოლო „ა“ - „თ“ და „კ“ - „უ“ ქვეპუნქტებში მოცემული დაავადების მქონე პაციენტებისათვის წელიწადში ორჯერ, არანაკლებ ერთთვიანი ინტერვალისა:

ა) ფენილკეტონურიით დაავადებული პაციენტებისათვის 1000 ლარის ოდენობით (სამკურნალო კვების უზრუნველსაყოფად), ონკოლოგიური სენით დაავადებულთათვის – 100 ლარის ოდენობით, ხოლო დანარჩენი კატეგორიის პაციენტებისათვის არაუმეტეს 70 ლარისა.

ბ) დასაფინანსებელი თანხის ზუსტი ოდენობა ყველა შემთხვევაში განისაზღვრება შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შალვა მშვილდაძე**